საქართველოს პრესის მუზეუმი

Фонд 287 Опись 1 ед. хр. 366

Фонд 287 Опись 1 ед. хр. 366

დასკანირებულია 16.01.25 (18)

ხუმრის მენეჯერთა ინსტიტუტის რექტორია.

პროფესორი გივი კილასონია გრაგნილი მოძრაობისა და ფართო საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილეა.

აუბრება რექტორი

ურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის კათედრის უფროსი ლაბორანტია, შემდეგ ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი.

1970 წლიდან ხელმძღვანელობს სწავლების ტექნიკური საშუალებათა ლაბორატორიას და ჟურნალებს გამოთვლითი ტექნიკის კათედრას.

1977 წლიდან გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგეა.

გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური შრომა, დაჯილდოვებულია ხელმძღვანელობის და შრომატერა.

მისი კალამის სფერო მოიცავს დედამიწის მომჯირავე ტემპერატურის რეგულირების საკითხებს, სტუდენტთა გონებრივი შრომის ორგანიზაციის პრობლემებს, გამოთვლითი ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების ამოცანებს, ბუნების დაცვის ღონისძიებათა გატარების შემუშავებას და სხვ.

1990 წელს ეწოდება პროფესორის წოდება. ამავე წელს ინიშნება მენეჯერთა ფაკულტეტის დეკანად.

1991 წლის სექტემბრიდან სოცნობილია, სოხუმში გაიხსნა ახალი სასწავლებელი — მენეჯერთა ინსტიტუტი, რომელიც მოამზადებს ეკონომისტ-ხელმძღვანელებს, ანუ თანამედროვე ტიპის, ეკონომისტ-მენეჯერებს. გადაწყვეტილება ქვეყნიერებით შეხვდა ამ

დეკომპლექტდა; დაიწყო მეცადინეობა ამ ინსტიტუტისადმი. მუშაკი შეხვდა ინსტიტუტის რექტორ გივი კილასონიას და ესაუბრა ამ საუბრის ჩანაწერს.

რებს, მაგრამ მაინც „ქოშელია". ამიტომაც გეძებდით გონიერ, მოაზროვნე, მიზანსწრაფულ ახალგაზრდებს, რომლებსაც სწავლა ნამდვილად შეუძლიათ, და არა იმ მცირეოდენ ცოდნას, რომელიც მათ გააჩნიათ... ამიტომაც მივმართეთ გასაუბრებას.

— ბატონო გივი, ამჟამად ბევრი კომერციული უმაღლესი სასწავლებელი იხსნება საქართველოში; როგორ მოგეჩვენათ, სწორია ეს?

— ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების გახსნა დროის მოთხოვნაა და, მაშასადამე, სწორია. არ შეიძლება ქვეყანაში ყველა უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფო ბარჯზე იყოს. ამავე დროს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მოითხოვს სრულიად ახალ საგნების სწავლებას, განათლების სისტემის ახლებურად გააზრებას. დრო არ ითმენს. საჭირო ხდება კერძო სასწავლებლების ჩამოყალიბება. ხოლო რამდენი უნდა იყოს ისინი, ამას ცხოვრება განსაზღვრავს. თუ სასწავლებელმა კონკურენციას ვერ გაუძლო, იგი თავისთავად გაუქმდება.

რაც შეეხება კონტიგენტს, ჩვენს ქვეყანაში საშუალო სკოლას ყოველწლიურად თითქმის 7-ჯერ მეტი მოსწავლე ამთავრებს ვიდრე უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ადგილია. მოკლედ რომ ვთქვათ, უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად ბუნებრივი კონკურსია. სხვა საკითხია საც მეტი მსურველი მივა, საც ნაკლები, ეს ინსტიტუტის ავტორიტეტზეა დამოკიდებული.

— და მაინც, ბატონო პროფესორო, ხომ არ გაუძლურებს კომერციული ინსტიტუტების არსებობა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს?

— ძლერს არა, სუსტს — კი. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უმაღლეს სასწავლებლებს უკან, ლო ბაზა, ზიანი მიაყენოს, გთქვათ, ახლადგახსნილმა მცირე სასწავლებელმა — სოხუმის მენეჯერთა ინსტიტუტმა. ეს აზრი უსამართლოა, საფუძველს მოკლებული.

სხვათაშორის, ისმის ხმები თითქოს მენეჯერთა ინსტიტუტის აგრობიზნესის ფაკულტეტი სოხუმში განლაგებული უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტების ტყუპისცალი იყოს. ეს არ არის სწორი. ჩვენი ფაკულტეტი ამზადებს ეკონომისტ-მმართველებს, ეკონომისტ-დირექტორებს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა კანონებისა და დებულებების ღრმად ათვისების გზით. აქ ძირფესვიანად სწავლობენ მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლებს, მეწარმეობის საიდუმლოებებსა და შინაარსობრივს, კულტურას, ეთიკას, ესთეტიკას, მჭერმეტყველებას; ეუფლებიან უცხო ენას, გამოთვლით ტექნიკას...

ჩვენი ქვეყნის არც ერთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს შესაძლებლობა შეასწავლოს სტუდენტებს ყველა ეს საგანი ადგილზე საჭიროებათა კმაყოფილების გამო. კომერციული ინსტიტუტის სასწავლო პოლიტიკა კი შესაძლებელს ხდის ასეთ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარებას. მენეჯერთა ინსტიტუტის მიმართულება და შესაძლებლობა სხვაა, ეკონომიკური ფაკულტეტების კი სხვა. ერთი სპეციალობის ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე სპეციალიზაცია, კვალიფიკაცია, ისეთი ერთი და იგივე რიდია. და ღმერთმანი, ახლა გაცილებით უკეთესია თავგამოდებით ვიმუშაოთ, ვიდრე ეჭვთმანეთს ვედავოთ.

— როგორ ფიქრობთ, აქვს რამე უპირატესობა კერძო სასწავლებლებს სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებთან შედარებით?

— უპირატესობაც აქვს და სუსტიც.

უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების, გეგმების, მეთოდიკის ერთიანი სისტემის გამოშუშებას და სტანდარტიზაციას. ერთფეროვნება კი წინსვლის გზებს ვიწროებს. ეს არის სახელმწიფო ინსტიტუტების დიდი ნაკლი. კომერციულ ინსტიტუტს კი აქვს სრული თავისუფლება, გააჩნია ძლიერი საკუთარი მიმართულება. ეს დიდი უპირატესობა

ვა რეგიონებიდან, საზღვარგარეთიდან, — ერთი ლექციის თუ ლექციების ციკლის წასაკითხავად და გადაუხდონ მათ მაღალი ტარიფით. ამ უკანასკნელს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. აბა, დაკვირდით, სახალხო განათლების მუშაკების საშუალო თვიური ხელფასი, 1989 წლის მონაცემების მიხედვით, აშშ-ში შეადგენდა 2100, გერმანიაში — 1900, საფრანგეთში — 1750, ინგლისში — 1573, ბელგიაში — 1700 დოლარს, საბჭოთა კავშირში კი 175 მანეთს.

მოდით და იმუშავეთ ასეთ პირობებში.

კერძო უმაღლეს სასწავლებლებს აქვს სუსტი მხარეც, სწავლის ქირის გადახდაა საჭირო. თუ გაქვს კარგია, თუ არა გაქვს ვერ ისწავლი. რომ გქონდეს უნდა იშოვნო, რომ იშოვნო უნდა იშრომო. რას იზამთ, ასეთია რეალური ცხოვრების კანონები. გარდა ამისა, კერძო უმაღლესი სასწავლებლები შეიძლება გაიტაცოს პროფესიონალური საზღვრების შემოკვეთამ, ე. წ. „ვირადმა საქმემ". ეს არ გვრცა. საჭიროა კერძოსი და საზოგადოს პარმონიული შეთანწყობა. ეს დიდ შრომას და გააზრებას მოითხოვს.

— ბატონო გივი, როგორ გეხასიათებათ ინსტიტუტის მომავალი, რიხი იმედი გაქვთ?

— მე ოპტიმისტი ვარ. მესახება ნათელი მომავალი, შრომის იმედი მაქვს, საზოგადოების დიდ მხარდაჭერას მოველი. შეცნობ რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებდეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან, ახლო მომავლის აკადემიასთან. მჯერა, რომ მენეჯერთა ინსტიტუტი გახდება სანიმუშო სპეციალისტების მომზადების სამჭედლო, ეროვნებათა შორის ალალი და სანქციანი ურთიერთობის კერა.

ამჟამად ინსტიტუტი მოთავსებულია დახასვენებელი სახლის — „სოხუმის" — ერთ-ერთ კორპუსში. აქ საკმოთხეა. უკეთეს პირობებს ვერც კი წარმოიდგენს კაცი, მაგრამ ჯერჯერობით მდგომარეობა ვართ.

სწავლების ტექნიკური საშუალებები არ გვაკლია. ასე რომ დღეისათვის ბევრი რამ გაგვაჩნია, სულ მალე ყველაფერი გვექნება.

მენეჯერთა ინსტიტუტი რა მე-

„ქვნარეთის ხმა", 1991, 12 ნოემბერი, N 180

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სინდის-ნამუსზე წერა ხელწიფება სწორედ იმას, ვინც გამორჩეულია ამ მხრივ, — მშობლიური კუთხის წეს-ჩვეულებათა არა მარტო ნინებულად მცოდნეა, ამასთან ერთად დამცველ-მატარებელი, პირადი ყოფითა და ცხოვრების ნორმებით პროპაგანდისტი ყოველივე საუკეთესოსი, რითაც ოდითგან საყოველთაოდ აღიარებულნი ყოფილან მამა-პაპანი, რომელთა სანთელ-საკმეველი კვლავაც შეგვახსენებს, ვისი გორისანიც ჩვენა ვართ! ამ შეჭირვებისას უპრიანიც იქნება, უკანაც მივიხედოთ, საიდან მოვდივართ, ვინა ვართ, რომ უკეთ მოვინიშნოთ სახელოო ორიენტირიც!

სწორედ განგაშის ზარის დარისხვაა „იყო ასეთი სოფელი" მოგონებათა წიგნი, რომლის ავტორია ცნობილი მწერალი და მეცნიერი, თაობების აღმზრდელი, პროფესორი აკაკი თოფურია.

ამ შეჭირვების ჟამს როგორ დროული ჩანს ყოველივე ამის შეხსენება, ახალგაზრდობის შეგულიანებაც, რომ გვახსოვდეს, საიდან მოვდივართ, რაოდენ დიდი აღმართებიცაა დასაძლევი.

პირადად სულ თვალწინ მიდგას უკვე ჰარმაგი, მაინც მხნე, ენერგიული მკვლევარი, მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი მხატვრული და მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის მეთოდიკური სახელმძღვანელოების ავტორი ბატონი აკაკი თოფურია, უპირველეს ყოვლისა თავად რომ იძლევა იმის მაგალითს, აწონილი სიტყვითა და ნათელი საქმეებით როგორი თავდადებითაც უნდა ემსახუროთ მშობელ ქვეყანას, ხალხს.

თანაც გული დაგვწყვიტა: „იყო ასეთი სოფელი!" — ოხვრა-კვნესა, წიგნის ავტორის და არც თუ უსაფუძვლო: აკი თავადაც მოწმეა, როგორ „... დაიწყო

„ჩემი ფესვებიც იქ არის..."

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა!" — ამ პროექციითა განთებული, წარმოჩენილი ყოველი სიტყვა, პასაჟი, სოფლის ყოფით პერიპეტიებს რომ აცოცხლებენ: „ნდობას არავინ გატეხდა. სირცხვილი და ნამუსი იყო მისი უწმინდესი თავმდები", — წერს ავტორი. სინდის-ნამუსის ლარი და ხაზი სწორედ ნამუსიანად, საქმის ცოდნითა და კუთხის სიყვარულითაა გაბრწყინებული მთელ წიგნში, თითქოს აკიდია, ხალხური სიბრძნის თვალმარგალიტებით დახუნძლული მომავალ თაობათა შესაგულიანებლად, სამომავლო ორიენტირად, სანთელ-საკმეველმა გზა არ უნდა დაკარგოსო.

კითხულობ მოგონებათა წიგნს და თვალწინ გიდგანან სოფლის, კუთხის ბრძენი ადამიანები, რომელთა აწონილი სიტყვის მადლი გამოჰყოლია თავად მის ავტორსაც, — სოფლის ლართა და ხაზით ჭრის დაკერავს, მერე როგორ უშუალოდ, გულწრფელად, — ასე წერა შეუძლია იმას, ვინც მშობელი ხალხის ღრმა სეული შვილია, მატარებელია ყოველივე საუკეთესოსი, აკვნიდან რომ დაჰყოლია; თანაც გაკვირვებთ, წარსულის სურათები, სულს ასე ცხოველად რომ დაიჩნდა, მახსოვრობის ფურცლებსაც როგორ შემოუნახავს! როგორი გულისყურითაა ყოველივე მოტანილი, — მოზომილი, მონიშნული, მოჭრილი! წარსულის სურათები მწერლური თვალთვალით დანახული, ნაცნობი ადამიანების პორტრეტები დახატული.

ბრძენს უთქვამს: ყველანი ჩვენივე ბავშობიდანვე მოვდივართო, — ბავშობაში ნანახი, განცდილი, გაგონილიც, ცხადია, იმდენად მრავალფეროვანია, კინოსურათივით ერთმანეთს ცვლის ძველის ხელაღებით ნგრევა, ახლის დამკვიდრებისათვის საერთო შემართება, ოცნების კოშკის აშენება ქვიშაში, ხუხულასავით რომ ინგრევა, რწმენის შებღალვამ როგორ დააქცია სოფელი, რასაც მისი შვილის ამოკვნესა „იყო ასეთი სოფელი" ავეირგვინებს თუნდაც იმისათვის, რომ არ დაგვავიწყდეს ჩვენი აკვანი, საიდანაც ავფრინდით და ასე შორს წავედით.

პირველი ხილვები, სოფლის ეკლესიის დაქცევა, პირველი მასწავლებელი პირველი სიყვარულივით დაუვიწყარი, მაშრალი ადამიანების შემართება ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, მოლოდინის გაცრუება, საერთო გულგატეხილობა, რაც მთავარია, რამდენი სახელოვანი ადამიანის სახეა წარმოჩენილი, გაცოცხლებული, ბევრი მათგანი ჩვენთვისაც კარგად ნაცნობი, მახლობელი. აი, თუნდაც ერთ-ერთი: როსტომ წულუკიძე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, გაუცხოების, განუკითხაობის, გაუპიროვნების „ბაცილების" გამრავლება". ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის უშუალო მონაწილის ხსოვნის ფურცლებს რამდენი რამ შემოუნახავს, თავადაც აცხადებს, მაშინდელი ცმა ეჭისაეით ახლაც ჩამესმის ყურში. ერთად შრომამ ვერ გაამართლა, გული გატეხა მაშვრალ კაცს, ხელიც ჩაეჭნევინა; აღმავა პირისაგან მიწისა მშობლიური აკვანი — სირაჩქონი, სადაც ოდესღაც რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს ალექსანდრეს გამოუვლია გრიგოლ ორბელიანის თანხლებით. „მიძნელდება ამ სტრიქონების წერა, — არ მალავს იგი, — ცრემლით მეღვინება ქაღალდი, სუნთქვა მეკვრის და გულს ძარღვები მეკუმშება, რადგან... „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, სად მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი, სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ... ჩემი ფესვებიც იქ არი..."

„იყო ასეთი სოფელი" მოგონებების პირველი წიგნია, ავტორის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „...საერთოდ ჩვენი წარსული ცხოვრების ბავშობის გარიჟრაჟიდან ერთი მბეუტავი, თუნდაც მიმქრალის გამონაშუქი". ვხურავთ მას იმის მოლოდინით, რომ ახლო წარსულისკენ ასე გულისყურით მიხედვა და მწერლური კალმით წარმოჩენა კვლავაც გაგვახარებს, ბუნებრივია, თანაც ჩაგვაფიქრებს „...ზოგჯერ იისფერი, ზოგჯერ თალხისფერი, ზოგჯერ კიდევ... სისხლიან მძივებად" ასხმული.

ბატონი აკაკი სიტყვის კაცია, ველით მის ახალ წიგნებთან მომავალ შეხვედრებს! გულითადად ვუსურვებთ ამაგდარ ადამიანს დაბადების 75 წლისთავს, ღვაწრძელობა და მზეგრძელობა ხალხოსან მამულიშვილს!

ევგენი აჟუბარდია.